



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იაპონური სოფორა



იაპონური სოფორა

იაპონური სოფორა (*Sophora japonica*) L., ხე პარკოსანთა Fabaceae (Leguminosae) ოჯახიდან. საქართველოში 5 მეტრამდე იზრდება. ტოტები გლუვია, ღია მწვანე ფერის, დაფარულია მეჭეჭებით. ფოთლები კენტფრთხარტულია, 7-15 კიდეშლიანი, ფორმით კვერცხისებრი ან ოვალურია, წვერში წანვეტებული. ზემოდან მუქი მწვანეა, ქვემოდან მონაცრისფრო, თეთრი ბეწვით შებუსვლილი ფოთოლაკებით. ფოთლის ყუნწის ძირი მნიშვნელოვნადაა გაგანიერებული;

ღია მოყვითალო ფერის ყვავილები კენწრულ საგველა ან მტევნისებრ ყვავილედეშია შეკრებილი. ნაყოფი 6-8 სმ სიგრძის ხორცოვანი, წვნიანი, უხსნადი, შეჭყლეტილ-ცილინდრული ფორმის პარკია. ფერად მწვანეა, ყვითლად მოარშიებული. თესლები პარკის გაგანიერებულ ნაწილებში ბის. ნაყოფი ხეზე ზამთარშიც რჩება. ყვავის ივლის-აგვისტოში.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი XIX ს-ში შემოიტანეს ბათუმსა და სოხუმში. საქართველოში 5 მ-მდე იზრდება. მრავლადაა თბილისის და აღმ. საქართველოს ქალაქების პარკებში. გვალვაგამძლე, სითბოს მოყვარული მცენარეა. ნიადაგისადმი რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნა არა აქვს. თესავენ შემოდგომაზე ან გაზაფხულზე.

გამოიყენებოდა ემპირიულ მედიცინაში. თაფლოვანი მცენარეა.
